

ქ.თბილისი

2018 წლის 5 დეკემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 5 დეკემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის შ. თევზაძის და IV მსაჯის შ. ცაგარეიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 1 დეკემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, გორის „ჯიქი“-სა და თბ „არმია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელი გოჩა კვაჭანტირაძე - მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელი გ. კვაჭანტირაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 5 იანვრამდე.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, გორის „ჯიქი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/